პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს მთავრობის განკარგულებით, მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული ფულადი სახსრებით წალენჯიხის მუნიციპალიტეტში არსებული კორპუსების გადახურვა, ფასადების მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქის იერსახის გაუმჯობესება		



ზ) საპროექტო-სახარჯთდრიცხო დოკუმენტაციის შედგენის და საზედამხედველო ინსპექტირების მომსახურების ხარჯი

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო-სახარჯთდრიცხო დოკუმენტაციის შედგენის და საზედამხედველო ინსპექტირების მომსახურების ხარჯი	დაფინანსება ათას ლარში
	02 07		478.11
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ზედამხედველობა, ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება აღემატება 50.0 ათას ლარს ხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის თანხის განკარგვა ხორციელდება კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს გეგმათ განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდერტებს)		

თ) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და საპრევენციო ღონისძიებების დაფინანსება

პროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და საპრევენციო ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	02 10		3 494,67
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს მთავრობის განკარგულებით მიღებული ფულადი სახსრებით მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა, ასევე გარკვეული სახის საპრევენციო ღონისძიებების ჩატარება უკვე დამდგარი ან მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების მინიმუმზაციისთვის.		
მოსალოდნელი შედეგი	სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია		

მუხლი 15. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2 531.15 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პრიორიტეტი	დასახელება	2024 გეგმა	2025 წელი პროგნოზი	2026 წელი პროგნოზი	2027 წელი პროგნოზი
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2 531,15	2,096.50	2,140.45	2,224.55
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	756,15	603.50	625.95	663.55
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	195,00	214.50	235.95	259.55
06 01 02	ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება	120,00	100.00	100.00	110.00
06 01 03	ფსიქიკურ ავადმყოფთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა	40,00	30.00	30.00	30.00



06 01 04	თირკმლის დიალიზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა	45,00	30,00	30,00	30,00
06 01 05	იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობა დაქვემდებარებულ პაციენტთა და ზოგიერთ სხვა დაავადებით შეპყრობილ პაციენტთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა	80,00	60,00	60,00	60,00
06 01 06	აუტიზმის სპექტრის აშლილობის (ასა) მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა	12,00	10,00	10,00	13,00
06 01 07	0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური კვლევების დაფინანსება	10,00	10,00	10,00	10,00
06 01 08	ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა	10,00	19,00	20,00	21,00
06 01 09	საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობა და რეაბილიტაცია	4,15	-	-	-
06 01 10	ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამა	240,00	130,00	130,00	130,00
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	951,80	927,00	938,00	974,00
06 02 01	მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარებები	100,00	50,00	50,00	50,00
06 02 02	ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება	50,00	60,00	60,00	70,00
06 02 03	საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება	28,40	30,00	30,00	35,00
06 02 04	მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვან შვილთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	370,00	390,00	400,00	410,00
06 02 05	შშმ პირთა და მოვლის საჭიროების მქონე ავადმყოფთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა	35,00	35,00	35,00	35,00
06 02 06	დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	18,00	15,00	15,00	20,00
06 02 07	საომარი მოქმედებების და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახების ფულადი დახმარება	0,00	-	-	-
06 02 08	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელშეწყობის პროგრამა	10,00	11,00	11,00	11,00
06 02 09	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური მხარდაჭერა	3,00	4,00	5,00	6,00
06 02 10	სტაციონარული მკურნალობის შემდგომ ბინაზე კომპიუტერულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების ოჯახების ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა	2,40	2,00	2,00	2,00
06 02 11	დიდი სამამულო ომის მონაწილე მოქალაქეთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა	0,00	-	-	-
06 02 12	სოციალურად დაუცველ წარმატებულ და უმაღლესი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა სწავლის თანადაფინანსება და ფინანსური წახალისება	5,00	10,00	10,00	15,00
06 02 13	სოციალურად დაუცველთა ბინით უზრუნველყოფა	130,00	100,00	100,00	100,00
06 02 14	წალენჯიხის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფა	200,00	220,00	220,00	220,00
06 03	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა	215,00	100,00	100,00	100,00



06 04	სარიტუალო მომსახურება	10,00	10.00	10.00	10.00
06 04 01	ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯი	5,00	5.00	5.00	5.00
06 04 02	უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯი	5,00	5.00	5.00	5.00
06 05	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებითი უზრუნველყოფა	390,00	400.00	410.00	420.00
06 06	ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით ფულადი დახმარება	139,40	-	-	-
06 07	ა(ა)იპ „კეთილი სამართელი“-2014 თანადაფინანსება	6,00	6.00	6.00	6.00
06 08	ვეტერანთა საბჭოს ხელშეწყობა	9,60	10.00	10.50	11.00
06 09	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	5,00	5.00	5.00	5.00
06 10	მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფა	48,20	35.00	35.00	35.00

ა) ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობის დაცვა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01		756.15
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება. არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრება. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის განხორციელებით საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა. არსებულ პირობებთან ადაპტირება, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილება. პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:</p> <ul style="list-style-type: none"> • საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება • ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება • ფსიქიკურ ავადმყოფთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა • თირკმლის დიალეზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა • იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ და ზოგიერთ სხვა დაავადებით შეპყრობილ პაციენტთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა • აუტიზმის სპექტრის აშლილობის(ასა) მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა. • 0-18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური კვლევების დაფინანსება. • ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა • ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამა. <p>პროგრამის მიზანს წარმოადგენს მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.</p>		

ა.ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		195.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: საგანმანათლებლო, აღმზრდელობით და საგანმანათლებლო – აღმზრდელობით დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმის დაცვის ზედამხედველობა; საგანმანათლებლო, აღმზრდელობით და საგანმანათლებლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაციას და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტ აღრიცხვას, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწას და გაუმჯობესებას, დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივ შემცირებას მისი კონტროლის გზით; ეპიდ სიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობას და მათ სწრაფ რეაგირებას, პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას; არაგადამდებ დაავადებათა პრევენციას და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებისგან დაცვას მოსახლეობის ინფორმირების გზით. პროგრამის მიზანია დაავადებების დროული გამოვლენა მისი კონტროლის მიზნით.</p> <p>C-ჰეპატიტზე, აივ-შიდსსა და ტუბერკულოზზე ინტეგრირებული სკრინინგის განხორციელება. ასევე შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება.</p>
მოსალოდნელი შედეგი	მოსალოდნელი ეპიდ. სიტუაციების მართვისთვის იმუნიზაციის მოცვის მაჩვენებლის გაზრდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად

ა.ბ) ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება

პროგრამის დასახელება	კოდი 06 01 02	ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში 120.00
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამა ითვალისწინებს პაციენტის დაფინანსებაში თანამონაწილეობას და გამოითვლება შემდეგი წესით:</p> <p>ა) თუ საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული თანხა მთლიანი ღირებულების 70%-ზე მეტია, დაფინანსდება</p> <p>პაციენტის გადასახდელი თანხის ნახევარი;</p> <p>ბ) ხოლო თუ საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული თანხა 70%-ზე ნაკლებია-დაფინანსდება საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული თანხის 25%;</p> <p>გ) თუ პაციენტის სტაციონარული მომსახურების ერთჯერადი ღირებულების თანხა აღემატება საყოველთაო დაზღვევის წლიურ ლიმიტს, ანაზღაურდება პაციენტის გადასახდელი თანხის 25%.</p> <p>დ) ამ პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში დასაფინანსებელი თანხის ოდენობა</p> <p>განსაზღვრულია არანაკლებ 50 და არაუმეტეს 700 ლარის ოდენობით.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე პირების ფინანსური დახმარება და მათი პირობების გაუმჯობესება.		

ა.გ) ფსიქიკურ ავადმყოფთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 06 01 03	ფსიქიკურ ავადმყოფთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში 40.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		



სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამის ბენეფიციარები არიან ფსიქიკური აშლილობებით შეპყრობილი ადამიანები, რომლებიც წარმოდგენენ სსე (სამედიცინო სოციალური ექსპერტიზა) შემოწმების აქტის ამონაწერს სტატუსით - „მკვეთრად გამოხატული“ (პირველი ჯგუფი). (საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მოთხოვნილ იქნეს სპეციალიზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100);</p> <p>2. პროგრამა გათვლილია 33 ბენეფიციარზე და ითვალისწინებს თითოეულზე ყოველთვიურად, უნაღდო ანგარიშწორებით, 100 ლარის ჩარიცხვას (აუცილებლობის შემთხვევაში დახმარება შეიძლება ჩაერიცხოს ბენეფიციარის კანონიერ წარმომადგენელს ან მხარდამჭერს).</p>
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

ა.დ) თირკმლის დიალეზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის დასახელება	კოდი	თირკმლის დიალეზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 04		45.00
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამის ბენეფიციარები არიან პაციენტები, რომლებიც ჩართულნი არიან თირკმლის დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში და აღნიშნული მომსახურების მისაღებად სისტემატიურად უწყევთ გადაადგილება სხვა ქალაქში;</p> <p>2. პროგრამა ითვალისწინებს თითოეულ ბენეფიციარზე ყოველთვიურად უნაღდო ანგარიშწორებით პირად ანგარიშზე 150 ლარის ჩარიცხვას;</p>		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროგრამით მოსარგებლე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.		

ა.ე) იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა და ზოგიერთ სხვა დაავადებით შეპყრობილ პაციენტთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა და ზოგიერთ სხვა დაავადებით შეპყრობილ პაციენტთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 05		80.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. იშვიათი დაავადებებით შეპყრობილი ბენეფიციარები პროგრამაში ჩაირთვებიან, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული, „იშვიათი დაავადებების ნუსხაში“ მითითებული ჩამონათვალის გათვალისწინებით.</p> <p>2. ზოგიერთ სხვა დაავადებებში ჩაითვალს: პარკინსონის დაავადება, ლეიკემია, გაფანტული სკლეროზი, მოტონორონთა დაავადება, სირინგომიელია, ცერებრული დამბლა, კუნთთა პროგრესიული დისტროფია, სისტემური წითელი მგლურა, რომლებიც სისტემატიურად საჭიროებენ მედიკამენტოზურ მკურნალობასა და კლინიკო – ლაბორატორიულ კვლევებს.“</p> <p>3. ბენეფიციარმა სამედიცინო კლინიკიდან (ვიწრო სპეციალისტის დასკვნით) უნდა წარმოადგინოს დიაგნოზის დამადასტურებელი ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100 ჩატარებული სპეციფიკური კვლევების მონაცემებისა და საჭირო მკურნალობის მითითებით.</p> <p>4. პროგრამა ითვალისწინებს თითოეულ ბენეფიციარზე ყოველთვიურად უნაღდო ანგარიშწორებით, პირად ანგარიშზე 100 ლარის ჩარიცხვას. პროგრამა გათვლილია 66 ბენეფიციარზე.</p>		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნების ხელშეწყობა		



ა.გ) აუტიზმის სპექტრის აშლილობის (ასა) მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა

პროგრამის დასახელება	კოდი	აუტიზმის სპექტრის აშლილობის (ასა) მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 06		12.00
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამის ბენეფიციარები არიან (ბავშვთა აუტიზმი, ატიპური აუტიზმი, ასპერგერის სინდრომი და განვითარების დაუზუსტებელი ზოგადი აშლილობა) ასა-ს მქონე 2 დან 15 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა მშობლები წარმოადგენენ ნეიროგანვითარების ცენტრის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, „ბავშვთა განვითარების ინსტიტუტის“, რეგისტრირებული კავშირის „საქართველოს ბავშვები“, მენტალური ჯანმრთელობის ცენტრის და სხვა სპეციალიზირებული ლიცენზირებული დაწესებულებებიდან ბენეფიციარისთვის ჩასატარებელი ღონისძიებების შესაბამის ხარჯთაღრიცხვას, დიაგნოზის დამადასტურებელი ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100-ს, ბენეფიციარის დაბადების მოწმობის ასლს და ერთერთი მშობლის პირადობის</p> <p>2. ბენეფიციარზე წელიწადში ერთხელ გაიცემა საგარანტიო წერილი ჩასატარებელი ღონისძიებების ღირებულების 70% – ის ოდენობით დაფინანსებაზე, მაგრამ არაუმეტეს 2000 ლარისა, რომელიც დაფინანსდება მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემდეგ.</p> <p>3. პროგრამა გათვლილია 6 ბენეფიციარზე.</p>		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროგრამით მოსარგებლე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.		

ა.ზ) 0-18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური კვლევების დაფინანსება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	0-18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური კვლევების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 07		10.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ – წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	0-18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევების (კარდიოლოგიური, ნევროლოგიური, სომატური, ჰემატოლოგიური, ბიოქიმიური, სეროლოგიური, იმუნოლოგიური, ციტოლოგიური, მორფოლოგიური, ციტოგენეტიკური) ღირებულების დაფინანსება არაუმეტეს 700 ლარისა. პროგრამა		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მუნიციპალიტეტის 0-18 წლამდე ასაკის ბავშვებში ავდმყოფი კონტიგენტის გამოვლენა.		

ა.თ) ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერის ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერის ქვეპროგრამა.	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 08		10.00



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ბენეფიციარები არიან 0-18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებიც ჩართულები არიან აბილიტაცია/რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში და შესაბამისი მომსახურების მისაღებად სისტემატიურად უწევთ გადაადგილება სხვა ქალაქში. პროგრამა ითვალისწინებს თითოეულ ბენეფიციარზე (მშობელთან ერთად) ერთ მგზავრობაზე 15 ლარით დაფინანსებას, რომელიც წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მოხდება თვეში ერთხელ. პროგრამული დაფინანსება განხორციელდება ბენეფიციარის, ან მისი მშობლის პირად ანგარიშზე უნაღდო ანგარიშსწროებით თანხის ჩარიცხვით.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	აღნიშნულ სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა შესაბამის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

ა.ი) ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 10		240.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამის მომსახურების მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 12 იანვარის №1/ნ ბრძანების, აუტიზმის მქონე პირთა მომსახურების მინიმალური სტანდარტების შესაბამისად, ასევე დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის საჭიროების მომსახურებასა და მათი ოჯახების გაძლიერება, ბავშვის ფიზიკური და ინტელექტუალური ფუნქციური პოტენციალის მაქსიმალური რეალიზება, ზოგადი ჯანმრთელობის, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და ინკლუზიური განვითარების პროცესის ხელშეწყობა.</p> <p>პროგრამა მოემსახურება ბავშვებს, რომლებსაც აღნიშნულ სოციალური კომუნიკაციის თვისებრივი ცვლილებები და ურთიერთობის დეფიციტი, ინტერესების, ქცევისა და აქტივობების შეზღუდული შესაძლებლობები და ეს დარღვევები პრობლემებს უქმნის ბავშვის ადაპტურ ფუნქციონირებას და ვლინდება განვითარების ადრეულ ეტაპზე.</p> <p>პროგრამის სუპერვიზორი ვალდებულია მოსარგებლის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, შესაბამის სპეციალისტებთან ერთად შეარჩიოს თერაპიული ინტერვენციის სახეობა, მათი ერთობლიობა, სენსიბელის რაოდენობა და აღნიშნულიდან გამომდინარე შეადგინოს ბავშვის აბილიტაცია/რეაბილიტაციის ინდივიდუალური გეგმა, რომელიც დასტურდება ყველა სპეციალისტისა და მოსარგებლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით.</p> <p>პროგრამა პირველი ეტაპისთვის მოსარგებლეს მიაწვდის ქცევით გამოყენების (ABA) თერაპიას, რაც წარმოადგენს მტკიცებულებაზე დაფუძნებულ ერთ-ერთ ფსიქოლოგიურ მიმართულებას, რომელიც ფართოდ გამოიყენება განვითარების სხვადასხვა ტიპის დარღვევის მქონე ბავშვებთან. ამისთვის მას ჰყავს ქცევის თერაპევტი, მეტყველების თერაპევტი, არტ.თერაპევტი.</p> <p>პროგრამის ყოველწლიურ დაფინანსებად განსაზღვრულია 130 ათასი ლარი, პროგრამით მოსარგებლე ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული მომსახურებას ახორციელებენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები. ორგანიზაციულ-ტექნიკური მუშაობის მხარდაჭერას უზრუნველყოფენ მენეჯერი, რეგისტრატორი, ტექნიკური მუშაკი (დამლაგებელი), რომელთაც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ასაქმებს მუნიციპალიტეტის მერი.</p>		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროგრამით მოსარგებლე პირების ფინანსური დახმარება და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.		

ბ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

			დაფინანსება
--	--	--	-------------



პროგრამის დასახელება	კოდი	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	ათას ლარში
	06 02		951.80
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სოციალური უზრუნველყოფის მიზნით		
	1. მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარება		
	2. ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება		
	3. საზეიმო დაღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება.		
	4. მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვან შვილთა ყოველთვიური ფულადი დახმარება.		
	5. შშმ პირთა და მოვლის საჭიროების მქონე ავადმყოფთა ფინანსური მხარდაჭერა		
	6. დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური ფულადი დახმარება		
	7. საომარი მოქმედებების და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახების ფულადი დახმარება		
	8. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელშეწყობის პროგრამა		
	9. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური მხარდაჭერა		
	10. სტაციონარული მკურნალობის შემდგომ ბინაზე კომპიუტერული მდგომარეობაში მყოფი პაციენტების ოჯახების ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა		
	11. დიდი სამამულო ომის მონაწილე მოქალაქეთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა		
	12. სოციალურად დაუცველ წარმატებულ და უმაღლესი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა სწავლის თანადაფინანსება და ფინანსური წახალისება.		
	13. სოციალურად დაუცველთა საცხოვრისით უზრუნველყოფა		
14. პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფა			
მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციარის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა		

ბ.ა) მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარებები

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარებები	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01		100.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	1. პროგრამა გათვლილია მოქალაქეებზე (ოჯახებზე), რომელთაც აქვთ მძიმე ყოფითი პრობლემები, რაც დადასტურებული უნდა იყოს ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოში ამავე ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის შუამდგომლობით. პროგრამა ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ ფულადი დახმარებას, არაუმეტეს 200 ლარისა, ადმინისტრაციული ერთეულებისათვის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინდივიდუალურ – ადმინისტრაციული აქტით დადგენილი თვიური ლიმიტის ფარგლებში.		
	2. შესაბამის დოკუმენტაციას მერის წარმომადგენლები განსახილველად, ყოველთვიურად წარადგენენ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების მართვისა და ადმინისტრირების სოციალურ კომისია“-ზე (შემდგომში „სოციალურ კომისია“).		
	3. იშვიათ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი, დასაბუთებული		



	შუამდგომლობით, მიმართავს მუნიციპალიტეტის მერს ბენეფიციარისთვის ფულადი დახმარების თაობაზე. (არაუმეტეს 2000 ლარისა). მერის წარმომადგენლის დასაბუთებულ შუამდგომლობასა და წარმოდგენილ დოკუმენტაციას განიხილავს მერის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახურის შესაბამისი განყოფილება და წარმოადგენს თავის წინადადებებს, რის შემდეგაც მერი ინდივიდუალურად განსაზღვრავს ბენეფიციარზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობას 200 – დან 2000 – ლარამდე. მუნიციპალიტეტის მერს წლის განმავლობაში შეუძლია განკარგოს აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული თანხის 25%
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა

ბ.ბ) ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		50.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ბიოლოგიური დედის რიგით პირველ და მეორე ცოცხლადშობილ შვილზე ერთჯერად ფულად დახმარებას 400 ლარის ოდენობით. ტყუპების შემთხვევაში 400 ლარით დაფინანსდება თითოეული ტყუპისცალი.		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ახალშობილთა ოჯახების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.		

ბ.გ) საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		28.40
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით საზოგადოების ღვაწლმოსილი და დამსახურებული ადამიანების, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოვლენების, რუსეთის აგრესიის და საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა, ასევე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული საჯარო და მათთვის სტრუქტურების ოჯახების, 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი ფულადი ან /და მატერიალური დახმარების გაწევა.		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სადღესასწაულო დღეებში ბენეფიციარებისათვის საზეიმო განწყობის შექმნა, მათი ფინანსური და მორალური მხარდაჭერა.		

ბ.დ) მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა ყოველთვიური ფულადი დახმარება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04		370.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ ოჯახებს რომელთაც ჰყავთ ოთხი ან მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი. თითოეულ არასრულწლოვან შვილზე ყოველთვიურად გაიცემა ფულადი დახმარება 50 ლარის ოდენობით.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება

ბ.ე) შშმ პირთა და მოვლის საჭიროების მქონე ავადმყოფთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შშმ პირთა და მოვლის საჭიროების მქონე ავადმყოფთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05		35.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, 100000-ზე დაბალი, სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებულ პირებს, რომლებიც არიან არასაპენსიო ასაკის შშმ პირები, აქვთ სტატუსი-“მკვეთრად გამოხატული“(1 ჯგუფი) და არიან ეტლით მოსარგებლე ან საწოლს მიჯაჭვული მწოლიარე და საჭიროებენ მუდმივ მომვლელს. დაფინანსება მოხდება ყოველთვიურად, თითოეული ბენეფიციარზე 100 ლარის ოდენობით, უნაღდო ანგარიშსწორებით, პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით. პროგრამა გათვლილია 29 ბენეფიციარზე.		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	შშმ პირთა მორალური და ფინანსური მხარდაჭერა. შშმ პირთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება.		

ბ.ვ) დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური ფულადი დახმარება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 06		18.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ბენეფიციარები არიან 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვები. დაფინანსება მოხდება ყოველთვიურად, თითოეული ბენეფიციარზე, 300 ლარის ოდენობით, უნაღდო ანგარიშსწორებით, მეურვის პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოფითი პრობლემების მოგვარება..		

ბ.ზ) ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელშეწყობის პროგრამა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელშეწყობის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 08		10.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		



სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შენობა – ნაგებობებიდან, მერიის მიერ მიზნობრივად გამოსახლებულ პირთა, დროებით საცხოვრისით უზრუნველყოფა, კერძო სექტორში მათთვის საცხოვრებელი ფართის დაქირავებით (არაუმეტეს 200 ლარისა თვეში). დაფინანსება მოხდება ყოველთვიურად, უნაღდო ანგარიშსწორებით, თითოეული ბენეფიციარის პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით. პროგრამა გათვლილია 4 ბენეფიციარზე.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართა დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა.

ბ.თ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 09		3.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ მოქალაქეებს, რომლებიც არიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი. ბენეფიციარის დაფინანსება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ბენეფიციარის პირად ანგარიშზე წელიწადში ერთხელ 500 ლარის ჩარიცხვით.		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროგრამის მიზანია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მიმართ ფინანსური ხელშეწყობა.		

ბ.ი) სტაციონარული მკურნალობის შემდგომ ბინაზე კომპლუზურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების ოჯახების ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტაციონარული მკურნალობის შემდგომ ბინაზე კომპლუზურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების ოჯახების ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 10		2.40
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს არასაპენსიო ასაკის სტაციონარული მკურნალობის შემდგომ, კომპლუზურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების ოჯახების, ფულად მხარდაჭერას, რომლებსაც მკურნალობა უგრძელდებათ ბინაზე და ხანგრძლივად საჭიროებენ ზრუნვასა და მეთვალყურეობას. განმცხადებელს (ბენეფიციარის ოჯახს) ჩაერიცხება, უნაღდო ანგარიშსწორებით, ყოველთვიურად 200 ლარი.		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება		

ბ.კ) სოციალურად დაუცველ წარმატებულ და უმაღლესი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა

სწავლის თანადაფინანსება და ფინანსური წახალისება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველ წარმატებულ და უმაღლესი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 12	სწავლის თანადაფინანსება და ფინანსური წახალისება	5.00



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ:</p> <p>ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილებს, რომლებიც სწავლობენ საქართველოს აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში, ოჯახის სარეიტინგო ქულა აქვთ 120 000-ზე ნაკლები და არ არიან ჩართული დაფინანსების არცერთ სახელმწიფო პროგრამაში. პრიორიტეტი ენიჭება, პირველ რიგში, სტუდენტის მაღალ აკადემიურ მოსწრებას შეფასების სისტემით 91 ქულიდან 100 ქულის ჩათვლით (GPA 3-4), შემდეგ ოჯახის შედარებით დაბალ სარეიტინგო ქულას;</p> <p>ბ) საქართველოში აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლების სახელოვნებო სფეროს მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებს, რომლებიც წარჩინებული არიან თავიანთი პროფილით (მაგალითად, პერსონალური გამოფენა, წიგნის გამოცემა, მთავარი როლი თეატრალურ წარმოდგენაში, მთავარი პარტია საოპერო დადგმაში და ა.შ).</p> <p>გ) სტუდენტებს რომლებიც სწავლობენ საქართველოს აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში და აქვთ მაღალი აკადემიური მოსწრება შეფასების სისტემით-100 ქულა (GPA-4) . ამ მუხლის 1 პუნქტის ა და ბ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბენეფიციარები დაფინანსდება მიმდინარე სასწავლო წლის სწავლის საფასურის ნახევრით, მაგრამ არაუმეტეს 1125 ლარისა, (დარჩენილი თანხის დაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ) შესაბამის უმაღლეს სასწავლებელში თანხის ჩარიცხვით.</p> <p>2. ამ მუხლის 1 პუნქტის ა და ბ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბენეფიციარები დაფინანსდება მიმდინარე სასწავლო წლის სწავლის საფასურის ნახევრით, მაგრამ არაუმეტეს 1125 ლარისა, (დარჩენილი თანხის დაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ) შესაბამის უმაღლეს სასწავლებელში თანხის ჩარიცხვით.</p> <p>3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბენეფიციარი დაჯილდოვდება, წელიწადში ერთხელ, 500 ლარით, უნაღლო ანგარიშსწორებით, ბენეფიციარის პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.</p>
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხარისხიანი განათლების ხელშეწყობა, განათლების დონის ამაღლება წარჩინებულ სტუდენტთა დაჯილდოვებით.

ბ.ღ) სოციალურად დაუცველთა საცხოვრისით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველთა საცხოვრისით უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 13		130.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამა გათვლილია უკიდურესად დარიბი მოსახლეობისათვის, რომელთა საცხოვრებელი პირობები უმძიმესია, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ოჯახის წევრთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და რომელთა საცხოვრისი არ ექვემდებარება რეაბილიტაციას. პროგრამა ითვალისწინებს შემუშავებული პროექტის მიხედვით ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობას (45 000 ლარის ფარგლებში). პროგრამა გათვლილია ორ ოჯახზე.</p> <p>2. იმ შემთხვევაში, როდესაც საცხოვრისი ექვემდებარება რეაბილიტაციას და ოჯახის წევრებისათვის საცხოვრებლად საშიშროებას არ წარმოადგენს, პროგრამა ითვალისწინებს მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნას, კერძოდ ერთი ოთახისათვის შესაბამისი სარემონტო სამუშაოების ჩატარებას (10000 ლარის ფარგლებში). პროგრამა გათვლილია ორ ოჯახზე.</p> <p>3. ამ პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ იმ ბენეფიციარებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს და ოჯახის არცერთ წევრს არ გააჩნია სხვა საცხოვრისი.</p>		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და საცხოვრისით უზრუნველყოფა.		

ბ.ბ) პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფა.

		დაფინანსება
--	--	-------------



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფა	ათას ლარში
	06 02 14		200.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პირველკლასელთა კვებისთვის საჭირო დღიური თანხის მიწოდებას მათთვის საბანკო ბარათების დარიგების საშუალებით, რომელთა გამოყენებასაც ისინი შეძლებენ მხოლოდ გარკვეულ კვების ობიექტებში და მარკეტებში.</p> <p>2. პროგრამა გათვლილია 280 ბავშვზე და წელიწადში 180 დღიან სასწავლო პერიოდზე. ერთ ბავშვზე გამოყოფილი კვების თანხა განსაზღვრულია 4 ლარის ოდენით.</p>		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პირველკლასელთა მშობლების ყოფითი პირობების ნაწილობრივ შემსუბუქება		

გ) სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03		215,00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამა ითვალისწინებს სტიქიური მოვლენის (ხანძარი, ქარიშხალი, თოვლი) შედეგად დაზარალებული ოჯახების ფულად დახმარებას. პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ ბენეფიციარებს, რომლებსაც ნაწილობრივ დაუზიანდათ, ან სრულიად გაუნადგურდათ საცხოვრისი. (დამხმარე ნაგებობები და ქონებრივი ზარალი არ განიხილება). ასევე ქარიშხლის, ან თოვლის გამო დაუზიანდათ საცხოვრისის სახურავი.</p> <p>2. ხანძრის შემთხვევაში დაზარალებულის დაფინანსება დაზიანებული ფართის მიხედვით პირობითად იყოფა ოთხ ჯგუფად:</p> <p>2.1. 50 კვადრატულ მეტრამდე – არაუმეტეს 5000 ლარისა,</p> <p>2.2. 100 კვადრატულ მეტრამდე - არაუმეტეს 10000 ლარისა.</p> <p>2.3. 150 კვადრატულ მეტრამდე – არაუმეტეს 15000 ლარისა</p> <p>2.4. 200 კვადრატულ მეტრამდე – არაუმეტეს 20000 ლარისა.</p> <p>3. იმ შემთხვევაში, როდესაც სტიქიის შედეგად (ქარიშხალი, თოვლი) საცხოვრებელი სახლის მხოლოდ სახურავია ძლიერ დაზიანებული (რაც ქმნის საცხოვრისის შემდგომ დაზიანების საშიშროებას) დაზიანებული ფართის მიხედვით ითვალისწინებს თანხის გამოყოფას კვადრატულ მეტრზე 15 ლარის ოდენობით, არაუმეტეს 2000 ლარისა. (ამ პუნქტით განიხილება მხოლოდ ის ბენეფიციარები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს)</p>		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარება		

დ) სარიტუალო მომსახურება

და) ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯი

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯი	დაფინანსება ათას ლარში
	06 04 01		5.00
ქვეპროგრამის			



განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს:</p> <p>ა) გარდაცვლილი დიდი სამამულო ომის მონაწილეების, მასთან გათანაბრებული პირების, ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ვეტერანთა ოჯახებისთვის სარიტუალო ხარჯების 250 ლარის ოდენობით დაფინანსებას.</p> <p>ბ) გარდაცვლილ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებისთვის</p>
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	გარდაცვლილ ვეტერანთა და დევნილთა ოჯახებისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარება.

დ.ბ) უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯი

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯი	დაფინანსება ათას ლარში
	06 04 02		5.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. წალენჯიხის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფას		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უპატრონო მიცვალებულთა პატივგება.		

ე) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 05		390.00
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „წალენჯიხის სათნოების სახლი“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ბენეფიციარი უნდა იყოს რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და სარეიტინგო ქულა არ უნდა აღემატებოდეს 120 000-ს.</p> <p>2. ბენეფიციართა შერჩევას სოციალურად დაუცველთა თანაბარი სარეიტინგო ქულის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება:</p> <p>ა) საპენსიო ასაკს;</p> <p>ბ) ოჯახის შრომისუნარო წევრ(ებ)ის(შემ პირი) ყოლას;</p> <p>გ) დედ-მამით ობოლ ბავშვებს;</p> <p>დ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული ოჯახების წევრებს;</p> <p>ე) გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრებს;</p> <p>ვ) იშვიათი გამონაკლისის (სოციალურ სააგენტოში არ უფიქსირდება სარეიტინგო ქულა ან 120 000 ქულაზე მეტი) შემთხვევაში, „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამის“ განმახორციელებელი ა(ა)იპ „წალენჯიხის სათნოების სახლის“ დირექტორი გადაწყვეტს მოქალაქის</p>		



	<p>ბენეფიციარად დარეგისტრირებას, მერიის წარმომადგენლის (შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში) წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე;</p> <p>ზ) ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კატეგორიის ბენეფიციართა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ პროგრამით მოსარგებლეთა საერთო რაოდენობის 10%-ს.</p>
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისის მიწოდება

ვ) ვეტერანთა საბჭოს ხელშეწყობა

პროგრამის დასახელება	კოდი	ვეტერანთა საბჭოს ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	06 08		9.60
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირი	
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირი აქტიურ მონაწილეობას იღებს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შესაძლებლობის ფარგლებში ზრუნავს ომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა კანონიერი უფლებების ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისა და სხვა პრობლემების გადაჭრელად.</p> <ul style="list-style-type: none"> • კონსულტაციის გაწევა ვეტერანთა მოწმობის გამოცვლის პროცედურების და სათანადო საბუთების მოძიებაში. • შშმ ვეტერანთა სოციალური მდგომარეობის შესწავლა, ეკონომიკური და ფინანსური პრობლემების გადაჭრის მიზნით ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიზნით წინადადებების წარდგენა მერიამში. • სისტემატური კავშირი ვეტერანთა საკითხებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. • უპატრონო ვეტერანთა სასაფლაოების მოძიება და მათი მოვლა-პატრონობის ღონისძიებების დაგეგმვა და წარდგენა მერიის შესაბამის სტრუქტურებთან. 	
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი		ომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა კანონიერი უფლებების დაცვა, ახალგაზრდობისთვის პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება.	

ზ) გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა

პროგრამის დასახელება	კოდი	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	06 09		5.00
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		წალენჯიხის გენდერული თანასწორობის საბჭო	
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა გენდერულად სენსიტიური ჯგუფის-ძალადობის მსხვერპლი და/ან რისკ-ჯგუფის ქალების, მარტოხელა და/ან ქვრივი მშობლების (როგორც ქალის ისე კაცის, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ახალგაზრდების სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების, შშმ პირების, მარტოხელა და ზრუნვის პოლიტიკის საჭიროების მქონე ხანდაზმულების, იგპ პირების საჭიროების შესწავლა და ამ საჭიროებებზე მორგებული საბიუჯეტო წინადადებების შემუშავება და დანერგვა. პროგრამა ითვალისწინებს გენდერული ცნობიერების ჩამოყალიბებას ინფორმირებას გენდერულ კანონმდებლობაზე, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ არსებულ მექანიზმებზე, სოციალური პარტნიორების სისტემაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ხელმძღვანელი სტრუქტურების მხრიდან მკაცრდება მოთხოვნები თანასწორობის პოლიტიკაში არსებული გამოწვევების</p>	



	საპასუხოდ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, გენდერული საჭიროებების შესწავლა და ყველა გენდერულად სენსიტიური ჯგუფის ინტერესების გათვალისწინება საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე: დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, სადღეისოდ უწყებათაშორისი კომისია მუშაობს ადგილობრივ თვითმართველობასთან თანამშრომლობის პლატფორმაზე, რასაც საპასუხო ნაბიჯები უნდა მოყვეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხრიდან. მოხდეს ყველა გენდერული ჯგუფის მხარდაჭერა ადგილობრივი რესურსებით.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა სრული და ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფა. გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება, ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არსებული ბარიერების გაქრობა.

თ) მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფა

პროგრამის დასახელება	კოდი	მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 10		48.20
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>წალენჯიხის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტის სერვისი არ არის განვითარებული, მუნიციპალიტეტის მწირი საბიუჯეტო რესურსების პირობებში არ აქვს შესაძლებლობა შეიძინოს ავტობუსები, შექმნას სატრანსპორტო კომპანია და შესაბამისი მომსახურება დამოუკიდებლად გაუწიოს მოსახლეობას.</p> <p>პრობლემის გადაჭრის ალტერნატივა იმ სატრანსპორტო საშუალებების მფლობელების სუბსიდირებაა, რომლებიც დამოუკიდებლად ახორციელებენ მგზავრთა გადაყვანას.</p> <p>2023 წელს მუნიციპალიტეტი ასუბსიდირებდა მუჟავას (ერისწყალი), ფახულანის (წყოლში), ჩქვალერის და ჯგალის (სქური) ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებ პირთა ტრანსპორტის სერვისით უზრუნველყოფას.</p> <p>2024 საბიუჯეტო წლიდან იგეგმება დამატებით სამი მიმართულების დამატება, კერძოდ: ობუჯი, მიქავა, ზღვია.</p> <p>სუბსიდიის გამოყოფის მიზანია გაიზარდოს ზემოაღნიშნულ მიმართულებებზე სამარშრუტო საშუალებების მოძრაობის ინტენსივობა.</p>		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება		

მუხლი 16. გარემოს დაცვა

